საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბატონ ლევად დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი" ქ. თბილისში თვალჭრელიძის ქ. №6-ის მიმდებარედ (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.19.19.002.100) გეგმავს სამედიცინო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას. პროექტზე მომზადებული იქნა გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიში, რაზედაც სამინისტროს მიერ გაცემულია სკოპინგის დასკვნა №49 13.11.2018.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ სამედიცინო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

- გზშ-ს ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია – 1 ეგზემპლარი;
- გზშ-ს ანგარიშის არატექნიკური რეზუმე;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გენერალური გეგმა;
- გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"-ს რეგისტრაციის თაობაზე;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საქმიანობის განხორციელებისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთის კუთვნილების თაობაზე;
- გზშ-ს ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები;

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება პროექტის განხორციელების თაობაზე.

პატივისცემით,
თამაზ კოხრეიძე

შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"-ს დირექტორი

18 იანვარი 2019 - № 41

შპს მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი
205295893
დოკუმენტებისათვის

№ 641
18 01 2019